


## ფიზიკურ პირზე დივიდენდის განაწილება 2622



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

**ანოტაცია**  
**„ფიზიკურ პირზე დივიდენდის განაწილება“ №2622**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ფიზიკურ პირზე დივიდენდის განაწილებისას დივიდენდის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“ დაფუძნდა ფიზიკური პირის მიერ. აღნიშნულ წელს განხორციელებული საქმიანობიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ შეადგინა 200 000 ლარი. 2018 წლის დეკემბრის თვეში შპს „X“-მა დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე ხელზე გასცა წმინდა მოგებიდან 30 000 ლარი.

საწარმოს აღნიშნულ ოპერაციაზე საგადასახადო ანგარიშგება მოგების გადასახადში არ მოუხდენია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

შესაბამისად, 2018 წლის დეკემბრის თვეში საწარმო ვალდებული იყო, ფიზიკურ პირზე გაცემულ 30 000 ლარზე დაერიცხა და ბიუჯეტში გადაეხადა 5 572 ლარი მოგების  $(30\,000/0,95/0,85*15\%=5\,572)$  გადასახადი და 1 578  $(30\,000/0,95*5\%=1\,578)$  ლარი დივიდენდზე 5%.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს დაეკისრება საგადასახადო ვალდებულებები მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებში. ამასთან, საწარმო დაჯარიმდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად, მოგების გადასახადისა და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციებში გადასახადის თანხის შემცირებისათვის.